პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

____ იანვარი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №22 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 21/03/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016370) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების“:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მუნიციპალიტეტის სტრატეგიული და მდგრადი განვითარების მიმართულებით მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, მისი განხორციელების ზედამხედველობა (კონტროლი), რისკების განსაზღვრა (იდენტიფიცირება), მონიტორინგი, შეფასება და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების კოორდინაცია;

დ) მუნიციპალიტეტის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;

ე) მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პროფილის გაძლიერებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა.“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მუნიციპალური პროგრამების რისკების მართვის მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება, მართვის კოორდინირება, მათი დაძლევის, შერბილების მექანიზმების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა-გამოყენების კონტროლი;“.

3. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“, „ო“, „პ“ და „რ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

4. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ და უ“ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) მუნიციპალიტეტის საზღვაო და საჰაერო კავშირების დივერსიფიცირების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში;

„უ) ველოსისტემის განვითარების პოლიტიკის შემუშავება;“.

5. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „თ“ და „კ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

6. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის ქალაქწარმომქმნელი და ქალაქმომსახურე ფუნქციების განვითარების ხელშმწყობი ღონისძიებების შემუშავებას;“.

7. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილება რისკების მართვისა და მონიტორინგის მიმართულებით:

ა) ახორციელებს მუნიციპალური პროგრამების რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებას და მის მუდმივ განახლებას;

ბ) ახდენს რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტირებას;

გ) უზრუნველყოფს რისკის მართვის ღონისძიებების კოორდინირებას

დ) ახორციელებს რისკის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას, ანგარიშის მომზადებას და წარდგენას ხელმძღვანელობისთვის;

ე) ხელს უწყობს მერიის პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელებს, სტრუქტურულ ერთეულში/სამეწარმეო არასამეწარმეო იურიდიულ პირებში რისკის კულტურის ცნობიერების ჩამოყალიბების, რისკის მართვის გასაუმჯობესებლად მიღებული რეკომენდაციების შესრულების, რისკების იდენტიფიკაციისა და მათ შესახებ ანგარიშის წარდგენის მიმართულებით;

ვ) ხელს უწყობს მერიის სისტემის თითოეულ თანამშრომელს, რისკის მართვის პროცესის გაცნობის, გააზრებისა და განხორციელების, დანაკარგების შესახებ ანგარიშის წარდგენის, ხელმძღვანელობასთან სხვადასხვა შემთხვევების გამოკვლევასთან დაკავშირებით;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მონიტორინგს პროგრამული რისკე-ბის ეფექტურად მართვის, რისკის ეფექტური იდენტიფიკაციისა და შეფასების მიზნით, ასევე, საჭირო კონტროლის ღონისძიებების და შესაბამისი საპასუხო ღონისძიებების არსებობის და-სადგენად;

თ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

ი) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის დავალებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.“

8. მე-8 მუხლის პირველ პუნქტს „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ზ[1] ქვეპუნქტი:

„ზ[1]) უზრუნველყოფს საერთაშორისო პროექტების კოორდინაციას;“

9. მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

10. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის ორგანიზების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ წინადადებების შემუშავებას;“.

11. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანა, დებულებით სამსახურზე დაკისრებული გარკვეული ფუნქციების დაზუსტება, გაერთიანება-კორექტირება, შევსება. აგრეთვე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილებისათვის მინიჭებული ფუნქციის „კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯარიმო ქვითრების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა“ ამოღება და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ შექმნის შედეგად, მუნიციპალური ორგანიზაციისათვის გადაცემა, რომელიც გააერთიანებს ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის და მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა საზედამხედველო ფუნქციას.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანა. მუნიციპლური პოლიტიკის სამსახური შეიქმნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2017 წელს ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად, სამსახური თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სამსახურის დებულების შესაბამისად. სამუშაო პროცესში გამოვლინდა სამსახურზე დაკისრებული გარკვეული ფუნქციების დაზუსტების, გაერთიანება - კორექტირებისა და დამატების (შევსების) საჭიროება. კერძოდ, მიზანშეწონილია მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულებიდან ამოღებული იქნას მე–3 მუხლის მეორე პუნქტის „ნ“ ,“ო“ „პ“ და „რ“ ქვეპუნქტები და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები; დებულების მე-3 მუხლის პირველი მუხლის „ა“, „დ“, „ე“, მეორე პუნქტის „დ“, „ო“ „ჟ“ და „უ“ ქვეპუქტებს, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტს, მესამე პუნქტს და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს შეეცვალოთ ფორმულირება, ხოლო დებულების მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ზ[1] ქვეპუნქტი:

„უზრუნველყოფს საერთაშორისო პროექტების კოორდინაციას“, აგრეთვე ცვლილება განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურში არსებული საზედამხედველო ფუნქციის ამოღების მიზნით. კერძოდ: დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის („კომპეტენციის ფარგლებში ახდენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯარიმო ქვითრების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენას“) ამოღება და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ შექმნის შედეგად მუნიციპალური ორგანიზაციისათვის გადაცემა, რომელშიც თავს მოიყრის მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული ყველა ზედამხედველობითი ფუნქცია.

წინამდებარე ცვლილებებით სრულყოფილად და ზუსტად იქნება აღწერილი ის ფუნქცია-მოვალეობები რომლებიც აკისრია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურს/მასში შემავალ განყოფილებებს, რაც უზრუნველყოფს სამსახურის სრულყოფილ და შეუფერხებელ მუშაობას.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

დადგენილების პროექტის ავტორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური პოლიტიკის
სამსახურის უფროსი ეთერ ლომაძე